გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

## ახალი ამბავი

⁂ ორშაბათს, 3 ივნისს, სენატორი ს. ს—მე გონჩაროვი გამოეთხოვა სამოსამართლო უწყებაში მოსამსახურეთ, რომელნიც ორ დასად იყვნენ დანაწილებულნი: ერთი დასი—საოლქო სასამართლოს წევრნი, თავ-მჯდომარე სასამართლოსი, მისი ამხანაგები, ქალაქის მომრიგებელნი [illegible]ნი; პროკურორი ბ-ნი ლანგე ❀ იმისი ხელ-ქვეითნი—ელოდნენ ბ-ნს გონჩაროვს საოლქო სასამართლოს დარბაზში. ბ-ნი გონჩაროვი ჯერ იქ მივიდა და გამოეთხოვა იქ მყოფთ და შემდეგ გადავიდა პალატის დარბაზში, სადაც თავმოყრილი იყვნენ სამოსამართლო პალატის მოხელენი, პროკურორითურთ და უფროსის თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელის, თავ. ნ. დ—ძის ჰავჰავაძის, მეთაურობით. ბ-ნ გონჩაროვს აქ მიართვეს დიდი ფოტოგრაფიული სურათი პალატაში მოსამსახურეთა. სურათი მშვენიერს ჩარჩოში იყო ჩასმული.

ბ-ნმა გონჩაროვმა მადლობა გამოუცხადა გულ-მოდგინედ სამსახურისათვის და გამოეთხოვა ყველას.

⁂ როგორც მკითხველებმა იციან, ტფილისში განიზრახეს საშუალ სატეხნიკო სასწავლებლის დაარსება. ამის შესახებ თხოვნა ჰქონდა გაგზავნილი ქალაქის გამგეობას. ამ დღეებში გამგეობამ ბ-ნ გუბერნატორისაგან ქაღალდი მიიღო კავკასიის მთავარ-მართებელის მიერ მოწერილი, რომ საერო განათლებისა და საფინანსო სამინისტროებმა განიხილეს ტფილისის საქალაქო მართველობის თხოვნა და ვერ სცნეს შესაძლებელად ტფილისში სატეხნიკო სასწავლებლის დაარსება იმიტომ, რომ არც ტფილისსა და არც ხაზინას არა აქვს ამ სასწავლებლისათვის საჭირო ფულიო.

⁂ სურამი „ივერია“-ში თავის დროზე გამოცხადებული იყო, რომ უმაღლესის კარის ჰოფმეისტერის ს. ს—მის გონჩაროვის მეცადინეობით ჩვენში უნდა დაარსდეს მცირეწლოვან დამნაშავეთა ახალშენი. ამისათვის საჭირო თანხის შედგენას შეუდგა თვითონ ბ-ნი გონჩაროვი და მოკლე ხანში საზოგადოებამ კიდეც აღმოუჩინა შემწეობა—შეჰკრიბეს 2,000 თუმანზე მეტი. რადგან ბ-ნი გონჩაროვი ჩვენს ქვეყანას სტოვებდა, ისე არ უნდოდა აქედამ წასვლა, რომ თავის [illegible]ციელებისათვის თავი არ გამოება. ამიტომაც განიზრახა, მომავალის ახალშენისათვის ტფილისის ახლო მდებარე ადგილებში ბინა ეშოვნა; დაათვალიერა სახელმწიფო ადგილები და ერთ-ერთი მათ შორის კიდეც მოიწონა თავის სურვილის განსახორციელებლად:—დაბა სურამის ახლოს, ორი ვერსის მოშორებით, რკინის გზის ნაპირას, აირჩია 60 დესიატინა მიწა მცირეწლოვან დამნაშავეთათვის ახალ-შენის ასაგებად.

კვირას, 2 ივნისს, ბ-ნი გონჩაროვი თავის მეუღლითურთ, საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ბ-ნი ბიკოვი, პალატის თავმჯდომარე ბ-ნი სმიტენი, პალატის პროკურორი და წევრნი და 30-მდე გარეშე კაცნი მიპატიჟებულნი გაემგზავრნენ დილის მატარებლით ტფილისიდამ სურამს, სადაც ამ დღეს დანიშნული იყო საძირკვლის ჩაყრა და კურთხევა ბ-ნის გონჩაროვის მიერ განზრახულის სადგომისა. სურამის სადგურზედ სტუმრებს მიეგებნენ არა მარტო სურამის მკვიდრნი,—ახლო მახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნიც-კი, რომ მადლობა გამოეცხადებინათ ახალ-შენის დამაარსებელისათვის. ბ-ნს გონჩაროვს სურამის საზოგადოებამ პურმარილი მიართვა და მის მეუღლეს ე. ა—ასულს მშვენიერი თაიგული; შემდეგ ამისა მიიწვიეს სოფლურს საუზმეზედ.

სადგურიდგან ყველანი გაემგზავრნენ იმ ადგილას, სადაც უნდა საძირკველი ჩაეყარათ. მთელი მიდამო ავსებით სავსე იყო თუ სურამის მკვიდრთა, თუ სოფლებიდამ მოსულის ხალხით. ორი დასი მეზურნეებისა მიეგება სტუმრებს. ცხადი იყო, რომ ხალხს ნათლად ესმოდა ამ დღის მნიშვნელობა და აღტაცებით ეგებებოდნენ სტუმრებს.

გადაიხადეს პარაკლისი და პირველი ქვა საძირკვლისა დასდეს ს. ს—ძემ გონჩაროვმა და მისმა მეუღლემ და შემდეგ ყველა დამსწრეთ.

⁂ იქიდამვე: სურამელებს არ გაუმტყუნდათ თავიანთი იმედი და სურამის ახლოს ორ ვერს ნახევრის სიშორეზედ, წარუანში, აშენებენ თავ-შესაფარს იმ მცირე-წლოვან ყმაწვილებისათვის, რომელთაც სასჯელი აქვთ გარდაწყვეტილი დანაშაულობისათვისა. გუშინ, 2-ს ივნისს აქ მობრძანდა ტფილისიდამ მატარებლით ამ საქმის მოთავე თავის სახლობითა, მობრძანდნენ აგრეთვე სხვა მოხელენიცა ტფილისის სამოსამართლო დაწესებულებათა, ასე რომ სულ 33 სული იყო. ამათ მოიყვანეს ამშენებელი თავ-შესაფარისა და სურამის რკინის გზის სადგურიდან გაემგზავრნენ ზოგი ცხენებითა, ზოგი ეტლებით, ხოლო თვით განჩაროვი სახლობითურთ და რამდენიმე წევრი პალატისა ქართულის ურმებით. დანიშნულს ალაგას დაჰხვდათ შეკრებილი მთელი სურამის საზოგადოება, ქალი და კაცი, ამქრები თავიანთის ბაირაღებითა და მეზურნეებითა: სურამის ვაჭართა დეპუტატმა იაკობ აკოფოვმა მიართვა პურმარილი ამ საქმის მოთავეს, თავმჯდომარედ ნამყოფს ტფილისის სამოსამართლო პალატისას, ბ-ნს გონჩაროვსა და დიდი მადლობა გამოუცხადა დიდისა და კეთილის საქმის დაწყებისათვის სურამის საზოგადოების სახელით. საძირკვლის კურთხევის შემდეგ სურამის მღვდელმა მ. იოსებ ბებიაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა შესახებ თავმჯდომარისა და გამოსთქვა ის აზრი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს-რა სასარგებლო საქმეა მთელის ჩვენის ქვეყნისათვის მცირე - წლოვან დამნაშავეთათვის ზრუნვა. ამის შემდეგ აქვე ორს ალაგას გაშლილი იყო სუფრა; ერთს ალაგას მოსულ სტუმრებისთვის, ხოლო მეორე ადგილას სურამის საზოგადოებისათვის. ბ-ნი გონჩაროვი, ქართულად იყო მოკეცილი მწვანეზედ და ისე შეექცეოდა სადილს. სადილზედ დაიწყეს სადღეგრძელოები. თითოეულს სადღეგრძელოს მოჰყვებოდა ხოლმე სიტყვები, მრავალჟამიერ და ტუში ზურნისა განუწყვეტლივ ისმოდა. ბ-ნი დრაგნევიჩი, ძნელ საქმეთა გამომძიებელი, თავისის მაღალის ხმით რიხიანად ამბობდა მრავალჟამიერს და მით დიდს შნოს აძლევდა სუფრასა. სურამელები გაქანებულნი შეექცეოდნენ დიდრონს ჯიხვებსა, და გადადიოდნენ ალავერდს, როგორც გონჩაროვთან, აგრეთვე თვით გონჩაროვის მეუღლესთან. გონჩაროვს და იმის მეუღლეს ქართულის ყანწითაც-კი მიართვეს ღვინო. სამაგიეროდ, როგორც გონჩაროვი, აგრეთვე იმისი მეუღლე ყანწებით ხელში მიდიოდნენ სურამელების სუფრისაკენ და იმათს სადღეგრძელოს მიირთმევდნენ.

ერთის სიტყვით, ძლიერ მშვენივრად ჩაიარა ამ დღეს სადილმა. საათის ხუთი იქნებოდა საღამოსი, რომ გამოემგზავრნენ სურამისკენ ტფილისში დასაბრუნებლად. სტუმრებს თან გამოჰყვა სურამის საზოგადოება და ამქრები ბაირაღებითა და ზურნა დუდუკით. ამ სახით გამოაცილეს რკინის გზის სადგურამდე. ვიდრე მატარებელი დაიძროდა, ღვინით სავსე ყანწები ტრიალებდა და ზურნის ხმა და ურას ძახილი გაისმოდა განუწყვეტლივ.

⁂ კვირას, 2 ივნისს, საქალებო ინსტიტუტში წლიური აქტი იყო. შუადღისას აქ მობრძანდნენ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა—ძე შერემეტევი, ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ—ძე შარვაშიძე და სხვანი მრავალნი. დიდი დარბაზი ინსტიტუტისა მშვენიერად მორთული იყო ყვავილებით; აქ იყვნენ თავ-მოყრილი მოსწავლე ქალები, რომელთაც წელს სწავლა დაასრულეს; აქვე სტოლზედ ეწყო რამდენისამე ქალისათვის დანიშნული საჩუქრები და სწავლა-დამთავრებულთათვის „დიპლომები“.

აქტი დაიწყო იმით, რომ ინსტიტუტის ინსპექტორმა ბ-ნმა მელერმა წაიკითხა ანგარიში, მეტად ვრცელი, სადაც მოთხრობილი იყო მთელი ისტორია ამ ინსტიტუტის დაარსებისა. ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ თავ-დაპირველად ეს სასწავლებელი გამართულა ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ 1-ლის პავლეს ძის ბრძანებით 15 ივლისს 1830 წელს და სახელწოდება ჰქონია „კეთილ-შობილთა ქალთა პანსიონი“; იმისი ხელ-მძღვანელობა ჩაბარებული ჰქონია ვაჭრის კოსტელოს ქვრივს, შემდეგ სტატსკი სოვეტნიკის დანილოვიჩის ცოლის ხელში გადასულა. ხაზინა აძლევდა 2,500 მან. შემწეობას იმ პირობით, რომ 6 ქალი უნდა გამოეზარდათ უფასოდ: 3 მკვიდრისა და 3 რუსისა. 1838 წ. პანსიონი ფრანგულის ენის მასწავლებელის პერეირის ცოლის ანნას ხელში გადასულა.

ამ წელს ტფილისში მობრძანდა იმპერატორი ნიკოლოზ 1-ლი, ინახულა პანსიონი და მაშინდელს მთავარ-გამგებელს საქართველოისას ბარონ როზენს უბრძანა 60 ქალისათვის პანსიონის დაარსება და ამ სასწავლებელს წინანდელის სახელ-წოდების მაგიერ დაერქვა „კავკასიის აქეთა მხრის საქალებო ინსტიტუტი“ და მისის იმპერატორებითის ხელმწიფე იმპერატრიცას მფარველობის ქვეშე დაინიშნა. ინსტიტუტი დიდის ამბით გახსნეს მხოლოდ 24 იანვარს 1842 წ., ამ დრომდე-კი სულ მზადებაში იყვნენ: თუ სადგომის შოვნა იყო საჭირო, თუ მასწავლებლებისა, სასწავლო ნივთებისა და სხვ. თავ-დაპირველად ინსტიტუტი შადინოვის სახლში გაჰმართეს, სადაც დარჩა 1863 წლამდე, ხოლო ამ წლის 17 გიორგობისთთვიდამ გადაიტანეს თავ. თუმანოვის სახლში და შვიდ კლასიან-სასწავლებლად გადააკეთეს. მას აქეთ ეს სასწავლებელი წლევანდლამდე ამ სახლში იყო. ბევრსა სცდილობდნენ თურმე თავისი საკუთარი სახლი შეეძინათ ამ სასწავლებლისათვის, მაგრამ ვერ მოხერხდა, რადგან ხაზინას ვერ გამოეღო ორას-სამასი ათასი მანათი ამ საქმისათვის, ხოლო 13 ივნისს 1887 წ. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება ინსტიტუტისთვის საკუთარის სახლის აგება. 1888 წელს, როცა ხელმწიფის სახლობა ჩვენს ქვეყანას ესტუმრა, 29 ენკენისთვეს ხელმწიფე იმპერატორმა, იმპერატრიცამ, მემკვიდრე ცესარევიჩმა და დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ საკუთარის ხელით ინებეს ახლანდელის შენობის საძირკვლის ჩადება. ეს მშვენიერი საკუთარი შენობა ინსტიტუტისა დამჯდარა სულ 450,000 მანეთი და საკმარისია 225 ქალისათვისაო.

ბ-ნ მელერის ანგარიშიდამ ვსცანით, რომ წარსულის წლის განმავლობაში ინსტიტუტში ყოფილა: 197 პანსიონში მოსწავლე ქალი, 19—მოსიარულე, სულ 216 ქალი; ამათგან მუსიკას სწავლობდა 115 ქალი.

წელს 37 რიგობაა იმ ქალთა, რომელთაც ინსტიტუტში სწავლა დაუმთავრებიათ. წელს დაუსრულებია სწავლა 30 ქალს. ამათგან საჩუქარი მიიღეს მეტად კარგის მეცადინეობისათვის: ბარონ ოსტენ—საკენის ქალმა ოლგამ—ხელმწიფე იმპერატრიცისაგან ბოძებული ხელის სამაჯური, ელეონიდა ზელიკის ქალმა—1-ლი ხარისხის ოქროს მედალი, სოფიო შიდლოვსკის ქალმა—მე-2 ხარ. ოქრ. მედ., ელისაბედ ჩერკოვსკის ქალმა—1-ლ ხარ. ვერცხლის მედალი, მარიამ ქანანოვის ქალმა—მე-2 ხარ. ვერცხლის მედ., თავ. ზუბოვის ქალმა მარიამმა—მე-3 ხარის მედალი; წიგნები მიიღეს საჩუქრად: გ. ნევტონოვისა, ქეთევან სულხანიშვილისა, თავ. ფალავანდიშვილისა, ლ. ფედოროვისა და სპარსეთის პრინცის მელექ-სიმ-ხან-ზაზა-ხან-ქაჯარის ქალებმა.

აქვე მოვიყვანთ სიას ჩვენის თანამემამულეთა ქალთა, რომელთაც სწავლა დაამთავრეს წელს: ბარბარე აბაშიძისა, ვასასია აბაშიძისა, თავ. ანდრონიკაშვილის ქალი ელენე, ელენე ჯაფარიძისა, მარიამ დოლუხანოვისა, ელისაბედ ყორღანოვი, ეფემია სულხანიშვილი, ეკატერინე სურგუნოვისა, თავ. ციციშვილის ქალი მარიამ, სოფიო შათირიშვილი და თავ. ერისთავის ქალი ელისაბედი.

⁂ ქარელი (გორის მაზრა); გწერთ უფრო დაწვრილებით იმ ავაზაკობის გარემოებას, რომელიც ამას წინად

მოხდა სოფელს ბრეთში. ამბობენ, რომ სულ ცამეტი კაცია ამ ჟამად ავაზაკად გავარდნილიო. ეს ცამეტი კაცი რამდენსამე დასად არის დაყოფილი და თითოეული გორის მაზრის სხვა-და-სხვა კუთხეში ნავარდობსო. ხშირად ავაზაკობენ ეს დასნი ერთსა და იმავე დღეს სხვა-და-სხვა სოფლებში, ერთმანეთიდამ შორს მანძილზე. ბრეთში ჩადენილის ავაზაკობის ამბავი ასე იყო: წარსულის თვის 25, საღამოს ხუთს საათზე სოფ. ქარელში მოიჯირითეს იარაღით შეღესილმა ავაზაკება და მიადგნენ ქერექაშვილის დუქნის კარებს. დუქანში დაუხვდათ ქარელის მამასახლისი და ერთი პოლიციელი, რომელიც გამოგზავნილი იყო აქ ბევრის ხალხის შესაკრებად და რომელსაც ეს შეკრებილი ხალხი ყარაიაზს უნდა წაეყვანა კალიის საწყვეტად. როგორც სჩანს, სოფლისა და მაზრის პოლიციის წარმომადგენელთ ვერ უცვნიათ იარაღში ჩამსხდარი ვაჟბატონები, ან თუ უცვნიათ, თავი არ აუტკიებიათ და პირიქით კარგადაც გამასპინძლებიან სტუმრებს. ქეიფში წამოსცდათ თურმე, რომ თავ. ნ. დ. ციციშვილის და ორის ურიის ჯავრი გვჭირსო და მალე სამთელს გავუქრობთ, თუ ცოცხლები ვიქნებითო. იმ ციციშვილს რომ დაუკვეხნია, დავიჭერთო, აბა გამობრძანდეს, რასაც მიიღებს ვერ გაიგებს? ჩვენ არსად არ მივრბივართო. ამ ხნის განმავლობაში ავაზაკების ახლო ბლომად ხალხმა თავი მოიყარა და თითქო მაიმუნს ათამაშებენო, გულ-ხელ დაკრეფილი შესცქეროდა. განა თქვეს, თუ მოდი და როგორმე გავქაჩოთო, რომ ჩვენც ის დღე არ დაგვაყენონ, რასაც სხვა სოფლებს აყენებენო.

საუზმის შემდეგ ხსენებულნი ავაზაკნი გაემგზავრნენ გაღმა მხარეს. რომელდაც სოფელში დღეობა სცოდნია და იქ უნდა ვიქეიფოთო; ქარელის სადგურს რომ მიატანეს, სამჯერ თოფი გაისროლეს: „ესეც ჩვენი გამარჯვებისა იყოსო". ქარელის ბორანზე გავიდნენ და ეწვივნენ სოფელს ბრეთსაც; სოფლის პირზე ერთი ურია თურმე ჩაიგდეს ფეხ-ქვეშ და სთელავდნენ. ამ დროს მიესწრო ერთი ბრეთელი გლეხთაგანი, გვარად ედილაშვილი, და უთხრა: „რას ერჩით მაგ უბედურსაო. როგორ თუ მაგისთანა სიტყვა გაგვიბედეო, ახლა საბრალო ედილაშვილი ამოიდეს ქვეშ და ძალიანა სცემეს. სოფლელებმა დაინახეს და დაიწყეს ყვირილი: „კაცს ჰკლავენ, წავიდეთ, ვუშველოთო". რა გაიგეს ხმა, რომ სოფლელებს უნდათ მოშველებაო, მიუბრუნდნენ საბრალო ედილაშვილს და სამჯერ თოფი დაახალეს. ორი ტყვია შენობაში მოხვედროდა და მესამე ბარძაყში. საბრალო ედილაშვილს იქვე სული განეტევებინა. გაიარეს ბრეთიც და გაემგზავრნენ სოფელ ძლევის ჯვრისაკენ, სადაც გზაზე შემოჰხვდათ ბლაღოჩინი ბრეთისა გ. ედილაშვილი თავისის დიაკვნით. ყაჩაღებმა შემოსძახეს: „ღვდელო, ცხენიდგან გადმობძანდიო"? მეტი ძალა არ იყო, ბლაღოჩინი თავის პრიჩეტნიკით ცხენებიდგან გადმობრძანდნენ. ავაზაკებმა ცხენები გაუცვალეს და უთხრეს: „სამ დღეში თქვენ ცხენებს ისევ მიიღებთ, ან მინდორზე გავუშვებთო და ან ნახირშიო; ეგ ცხენებ-კი სანამ თქვენებს იპოვიდეთ, გყავდეთ და მერე-კი გაუშვით და ჩვენვე წავიყვანთო. ეტყობა, რომ მათი ცხენები დაღალულნი ყოფილან და ბლაღოჩინის და მის დიაკვნისათვის დროებით გამოურთმევიათ. იმედია, რომ შემდეგ ამდენის აუარებელის უბედურებისა ავაზაკებისა პოლიცია დაფაცურდება და როგორმე შეიპყრობს ამ თავზე ხელ-აღებულს ხალხს.

## ქალაქის საბჭო

ორშაბათი, 3 ივნისს.

მორიგ საქმეთა შორის პირველად სიაში დასახელებული იყო ამორჩევა გამგეობის მესამე წევრისა. ქალაქის თავმა სთხოვა კრებას, განეხილა ჯერ სხვა საქმეები და ამორჩევა ცოტახნით გადაედო, ვიდრე კიდევ მოვიდოდნენ დანარჩენი ხმოსნები. თანახმად ამისა ქალაქის თავმა მოახსენა საბჭოს ვითარება იმ საქმისა, რომელიც ამ რამდენისამე თვის წინად აღძრა ხმ. ნიკოლაძემ და რომელიც შეეხებოდა ხმებს, ვითომც სამხედრო „პრისუტსტვიაში" უკანონობას სჩადიან მოხელენი, ვითომ ქრთამებს იღებენ და ამის გამო სწარმოებს გამოძიებაო. ქალაქის თავმა უამბო საბჭოს, რომ ამის შესახებ პ. ა. იზმაილოვმა შეატყობინა ბ-ნს გუბერნატორს, რომელმაც მისწერა ტფილისის პოლიცმეისტერს, რათა მოეხდინა გამოძიება, რამდენად მართალია ეს ხმებიო. ბ-ნმა პოლიცმეისტერმა სასტიკად გამოიკვლია ეს საქმე და, სასიამოვნოდ ჩვენის თვით-მართველობისა, აღმოჩნდა, რომ ამ ხმებს არავითარი საფუძველი არა ჰქონიაო.

შემდეგ ამისა განხილული იყო კიდევ რამდენიმე საქმე. მოსასვლელი ხმოსნები შეიკრიბნენ. მათი რიცხვი იყო 62. გალერეა საბჭოს დარბაზისა აივსო ხალხით. ქალაქის თავმა სთხოვა ხმოსნებს დაესახელებინათ ბარათებით, ვის რომელი კაცი ჰსურდა გამგეობის წევრად. ბარათების მოკრების შემდეგ აღმოჩნდა დასახელებული: ა. ა. ივანენკო 26 ხმით, მ. ვ. მაჩაბელი ამდენისავე ხმით, ნ. ი. ნიკოლაძე 2, მ. ბ. ბექანოვი 1, შახაზიზოვი 1, ა. პ. საფაროვი 1. ნიკოლაძემ, ბექანოვმა და შახაზიზოვმა უარი განაცხადეს. საფაროვს არ დაუდგა საბჭომ ყუთი, რადგან საბჭოში მისი მცნობი ერთის მეტი არავინ გამოდგა და ამ ერთსაც არა ჰქონდა, წერილი არ ექირა საფაროვისა ხელში, ჰსურსდა იმას კენჭის ყრა თუ არა, ამის გამო დადგმული იყო ორი ყუთი ა. ა. ივანენკოს და მ. ვ. მაჩაბლისთვის. მათში პირველს ამოუვიდა 40 კენჭი თეთრი, ხოლო 20 შავი, უკანასკნელს 26 კენჭი თეთრი და 34 შავი. ამ სახით ამორჩეულ იქმნა გამგეობის წევრად ა. ა. ივანენკო, რომელმაც მადლობა გადაუხადა საბჭოს და აღუთქვა, რომ ვეცდები გავამართლო ხმოსანთა ნდობაო. საბჭომ, ხანგრძლივის კამათობის შემდეგ, დაამტკიცა მოხსენება საფინანსო კომისიისა რომ ქალაქმა გამართოს საკუთარი ლაბორატორია, რომლის შემწეობითაც უნდა სდევნოს სიყალბე სხვა-და-სხვა ხორაგეულობისა და სასმელებისა.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. პერევისა** (შორაპნის მაზრა). სოფელი პერევისა შორაპნის მაზრაშია, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენ. რასაკვირველია, გაგონილი გექნებათ შავი-ქვა. სწორედ ის შავი-ქვა ითხრება სოფ. პერევისასა და მის მიდამო სოფლებში და პერევისის შავი-ქვა გათქმულია ყველგან. საყურადღებოა ის მდგომარეობა, რომელშიაც იყო პერევისა შავი-ქვის გამოჩენამდე და არის ეხლა. შავი-ქვის გამოჩენამდე, თუმცა პერევისაში, როგორც მთელს ზემო იმერეთში, ცოტა სახნავ-სათესი ადგილები ჰქონდათ მცხოვრებელთ, მაგრამ სამაგიეროდ კარგად შეიმუშავებდნენ ხოლმე ყანებს და იმ ცოტადგან ბევრი სარჩო მოჰყავდათ, ასე რომ კმაყოფილი რჩებოდნენ, როგორც გლეხნი, ისე თავად-აზნაურნიც. შავი-ქვის გამოჩენის შემდეგ ყანები სულ მიატოვეს. დათესით დათესენ, მაგრამ მისთვის არც გათოხნაა დროზედ, არც ნახირის მოშორება და არც სხვა რაიმე მოვლა იციან: დაიმედებულნი არიან, რომ შავ-ქვაზე ვიმუშავებთ, ფულს ავიღებთ, ვიყიდით სარჩოს და იმითი უფრო იოლად გამოვალთო. იმას-კი არ აქცევენ ყურადღებას, თუ რა გავლენა აქვს მათს ჯანის სიმრთელეზედ შავს-ქვაზედ მუშაობას! შეძვრებიან სამ-ოთხს ვერსზედ გვირაბებში, უდგიათ წინ უბრალო მყრალი ლამპარი და მისს ბოლს ყლაპავენ. ყლაპავენ აგრეთვე მუშაობისაგან დამდგარს მტვერს, რის გამოც მუშები სნეულდებიან, ისე რომ მუშაობა აღარც-კი შეუძლიათ. ზოგიერთი კიდეც გაემგზავრა საიქიოსაკენ. ვისაც საკმარისი ადგილი არა აქვს, იმათ სანახევროდ რომ მისცე, არ აიღებს და ასე გეტყვის: „რად მინდა შენი ყანა, აგერ წავალ შავქვაში, ავიღებ ფულს და იმითი შენგან მოყვანილს და დამზადებულს სიმინდს ვიყიდიო. მაგრამ ამისთანა აზრის კაცებს ბოლოს დროს ბედმა უმტყუნა. შავი-ქვის ფასმა იმდენად იკლო, რომ კაცი ვეღარ ბედავს იქ წასვლას სამუშაოდ, რადგან იცის, რომ ხარჯის მეტი არა შერჩება-რა და ამიტომ პირ-დაღებული, უსარჩოდ და ჯიბე დაცალიერებული რჩება. რა ქნას ახლა ასეთმა კაცმა? ის, რასაკვირველია, ბევრს ხანს არ იფიქრებს და მაშინვე განიზრახავს გულში რაიმე ბოროტ-მოქმედებას ან ქურდობას, ან ავაზაკობას. ბევრი ამათგანი ისე ქურდობს, თავისის ფიქრით, რომ არც მწვადსა სწვავს და არც შამფურს. მაგალითად: მოჰპარვენ ვისმე ცხენს და პატრონმა რამდენიც უნდა ეძებოს, მაინც ვერ იპოვის, ისეთს ადგილსა ჰყავთ დამალული. ბოლოს მივა ცხენის პატრონთან ქურდი, გაიხმობს ცალკე და ეუბნება: თუ ორმოცს ან ოც-და-ათს მანეთს მომცემ, მე გასწავლი იმ კაცს, ვისაც შენი ცხენი ჰყავსო. პატრონს, რასაკვირველია, გაეხარდება და მეტიც რომ მოსთხოვოს, მაინც არ ინაღვლის და გადიხდის. ქურდი ცხენის პატრონს ფულს გამოართმევს და რამდენისამე დღის შემდეგ მოიყვანს მის ცხენს და მისის სახლის სიახლოვეს გაუშვებს ყანაში. ამ ნაირად ქურდი თავისს მდგომარეობასაც აუმჯობესებს და ცხენის პატრონსაც აამებს, რომ ცხენები გიპოვნეო. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი ქართული ანდაზა „ერთი შერჩა მელასაო, შეეჩვია კბენასაო", ქურდი უფრო ვარჯიშდება და თამამდება, რომ ვერაფერი დააკლეს და მერე კიდევ სხვასაც ჰპარავს. ამისთანა მაგალითები მარტო ჩვენში აუარებელი მომხდარა. მარტო ცხენების ქურდობას არ მისდევენ ეს ყმაწვილები. შეაგულებენ თუ არა ვისმეს ფულს, სიმინდს, ქათმებს, ღვინოს, მაშინვე იპოვიან ამქრებს და დაეცემიან ღამით. პატრონს ან მოჰკლავენ, ან დასჭრიან და რასაც-კი მოიგდებენ ხელში, წაიღებენ. წაღებას თავი დაანებეთ, რასაც დასტოვებენ, იმასაც გააფუჭებენ პატრონისთვის. მაგალითად: თუ ღვინო წაიღეს, ქურს მიწით აავსებენ. ეს ამას ჰნიშნავს: ჩვენ ისეთი მოხერხებული ქურდები გახლავართ, რომ შენს ძილში ღვინოც წავიღეთ და უშიშრად მიწაც მოვთხარეთ შენის ქურის ასავსებადაო. რამდენ რაირს ქურდობას არ იგონებენ. ერთის სიტყვით, არ ვიცი თუ ასეთი ქურდობა იყოს სადმე, როგორც პერევისაშია. თითქმის მოუგონარს იგონებენ. გამტანობა აღარსად არის, მამა შვილს უჩივის, შვილი მამას. კაცის კვლა თითქმის ყოველ დღე ხდება, დანდობა და პირიანობა აღარსად არის. კვირა-უქმეებში რომ მიბრძანდეთ ეკკლესიაში, ვერავის დაინახავთ მღვდელ-დიაკვნის და ორიოდე მოხუცებულთ გარდა, რომელთაც საიქიოსკენ უქნიათ პირი და სააქოს-კი ახალს თაობას უტოვებენ. რა არის ეკკლესიაში ხალხის მიუსვლელობის მიზეზი? ისა, რომ ხალხს არა სცალია ეკკლესიაში სალოცავად მისვლისათვის, იმას ქვეყნიური საქმეები უფრო აწუხებს, ვიდრე ზეციური. გაუბავთ ხარ-კამბეჩი და შავქას ეზიდებიან. შავი-ქვის გამოჩენამდე ჩვენში ასე არა ყოფილა. მაშინ ვინ იქნებოდა ისეთი ულმერთო, რომ კვირა უქმეების დროს ეკკლესიაში არ წასულიყო და შინ ემუშავნა ხარითა და ცხენით. აღარ არის ერთი ბეწო პირუტყვების შებრალება. აქაოდა ჩემი ხარი და ცხენი არის, ვინ დამიშლის, რამდენსაც წავაღებინებ ქვასაო. დააყრიან საწყალს ცხენებს ზურგზედ ოც-ოცს ფუთს ქვასა და კუდ-აშოშორიკებულს მიარბევინებენ. ზოგიერთი ახალი ნაყიდი ცხენი ორ-სამს გზობაზედ წელში გატყდება, ან სხვა რაიმე დაემართება, გადაბრუნდება და მოკვდება.

ვიდრე შავი-ქვა გამოჩნდებოდა, პერევისა მიყრუებულად იყო; ძველებურს წესებს ადგნენ; ქურდობა და ავაზაკობა იშვიათი იყო. მაშინ ბევრად უფრო უკეთესნი იყვნენ ხასიათით და ზნეობით, ვიდრე ეხლა. ცხენი რომ სათიბში გბმოდა, ვინ იფიქრებდა იმის მოპარვას. ახლა სათიბშიკი არა, ცხრა კლიტულში მოგპარვენ. უწინდელს დროში ქურდობას შეატყობდნენ ვისმეს თუ არა, მაშინვე შეიკრიბებოდა რამდენიმე მისი მეზობელი, ქურდს მოიხმობდნენ, ამხილებდნენ, დაარიგებდნენ და ისიც ფიცს მისცემდა, პატრონს ჩავაბარებ თავისს საქონელსა და მეც ქურდობაზედ ხელს ავიღებო. ისეთი ვინ გამოდგებოდა, რომ ფიცი დაარღვია. ახლა-კი, როდესაც შავი-ქვა გამოჩნდა, და როდესაც ყოველის ჯურის ხალხი აქ შეგროვდა, აღარაფრისა აღარა რცხვენიანთ, აღარც ხატის შიში აქვთ და აღარც ჯვარისა. რაც საციმბირო ხალხი იყო ქვეყანაზედ აქ მოვიდა და ნოქრებად დადგა. გამართლდა ქართული ანდაზა: „ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო".

აქაური თავ-აღებული ნოქრები უფრო ბევრს შევიწროებას აყენებენ უბრალო მუშა-ხალხს, რომელთაც ხმის ამოღებაც-კი არ შეუძლიათ მათის ბრწყინვალეობის წინაშე და ამ ნაირად წათამამებულნი და წაქეზებულნი ნოქრები უფრო უშიშრად და თავისებურად დათარეშობენ. წონაში ხომ რამდენიც უნდათ, იმდენს მოჰპარვენ მუშას; მუშამ კიდეც რომ გაიგოს, ხმის ამოღება მაინც არ შეუძლიან. ისინი ყოველთვის შეიარაღებულნი არიან, თუ ერთი წინააღმდეგი სიტყვა წამოგცდა, ვაი შენი ბრალი: ლუკმა-ლუკმა დაგჩეხენ, ან კიდევ ძალზე დაგბეჟენ. ნაცემი მუშა ჩივილს რაღას დაეძებს, ღმერთს მადლობას უხდის, რომ ცოცხალი გადავურჩი ნოქრებსაო. თითქმის დღე არ გავა ისე, რომ არ გაილახოს კაცი და ან არ მოკვდეს. ნოქრები რომ სინდისიანად იქცეოდენ, უბრალო ხალხს მართლაც და ბევრი მოგება ექნებოდა მათგან. გლეხი არ არის, რომ ერთი ან ორი ცხენი არ ჰყავდეს, მაგრამ რად უნდათ? ცხენის საჭმელი თუ აქვს, შეიძლება მაშინ მოიგოს რამე; თუ ბალახი არა აქვს, იმის ცხენი ჭამის ფასსაც ვერ აიღებს, ისე ულმერთოდ ეკიდებიან ნოქრები. ამას ამტკიცებს შემდეგი გარემოება: სხვა უცხო ქვეყნების ხალხს მაგ, ბერძნებს, თათრებს გაუგიათ, რომ ფულის მოგება არისო; გადაუბავთ ოთხი-ხუთი ცხენი ერთმანეთზედ და სამუშაოდ მოდიან. ჩამოვა ჩვენში და, როდესაც დაწვრილებით გაიგებს აქაურს გარემოებას, [illegible] ცხენებს და დაბრუნდება სამშობლოში, ან არა და ჩადგება სამუშაოდ, მაგრამ ჭამის ფასსაც ვერ აიღებს და ყველას იმას შესჩივის, გავბრიყვდი, რომ აქ წამოვედიო. შავი-ქვის პატრონებიც ისეთს კაცებს იყენებენ ნოქრებად, ვისაც ხელში ლონე ურჩის და კაცის დატანჯვა შეუძლია. მუშის ნება-კი არ არის ქვის წაღება ზესტაფონში, იმის ნება არის, ვინც იმას ერთი-ორიოდეს კისერში რიგიანად უთაქებს და ძალად წააღებინებს თავისს ქვას. თავ-აღებულმა ნოქრებმა გააფუჭეს ქალების სინიდისი და პატიოსნებაც. უწინდელს დროში ვინ იქნებოდა ისეთი ლეჩაქ-ახდილი ქალი. ახლა-კი.... ქალი შიშით გარედ ვერ გამოდის; ნოქრები ყარაულებსავით დგანან; ხოლო ქალების დედ-მამა-კი ამ შეურაცხყოფას ვერ ითმენს და თავისს შვილს ან მოჰკლავს თავისის ხელით, ან არა და მშიერს და მწყურვალს გააგდებს სახლიდგან. ამ შავის ქვის გამო ისეთი უწესოება ხდება ჩვენში, რომ ლამის გადავსახლდეთ აქედგან და ყურის მგდებელი-კი არავინა გვყავს. ახლა შევიტყეთ, რომ რკინის გზა უნდა გაიყვანონ ზესტაფონიდგან საჩხერემდეო, და ეს ჩვენთვის ძალიან სანუგეშო და სასიხარულოა. შავ-ქვას მაშინ ზემოდ პერევისაში აღარ ამოიტანენ, ჭალებიდგან პირ-და-პირ ჭიათურაში ჩაიტანენ და იქნება მაშინ მაინც დავაღწიოთ თავი ამ ვაი-ვაგლახს.

ა. პერევისელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რა ჰღუპავს ევროპას? ბევრს გაუკვირდება-კი და ამ საკითხის პასუხი ის არის, რომ მოდა ჰღუპავს, სიმდიდრის სიყვარული. აი, ამ აზრისაა ოსმალეთის ისტორიკოსი და რომანების მწერალი მითხად-ეფენდი, რომლის წერილიც ტფილისის გაზ. „Нов. Обоз."-შია გადმოთარგმნილი. ეს წერილი დაბეჭდილია თურმე ამ მწერლის გაზ. „თერჯუმანი-ხაკიკათში" და ევროპის სოციალურს მდგომარეობას შეეხება. მოგვყავს ეს წერილი სრულად და მისი დაფასება-კი, რამდენად სამართლიანის აზრისაა ეს ოსმალეთის კალმოსანი ევროპიელებ შესახებ, მკითხველებზედ მიგვინდვია:

ვინც მოიგონებს ცნობებს, ჩვენ მიერ დასახელებულს ევროპიელთა ცხოვრების შესახებ, ის ადვილად გამოარკვევს, რა მუწუკიც აწუხებს ევროპის საზოგადოებრივს ცხოვრებას. ნამდვილი მიზეზი ყოველისავე საზოგადო ბოროტისა, რომელიც ევროპის კაცობრიობას საქმეს უჭირვებს, ეჭვი არ არის, ისაა, რომ ევროპიელები ცხოვრების ჭეშმარიტს გზას გადასცდენიან, ბუნებრივს სისადავესა და ხელმოჭერას გაჰქცევიან და მთელი თავისი ცხოვრება სიმდიდრისა, ფლანგვობისა, მედიდურობისა და ნამეტნაობის მორევში ჩაუყუდებიათ.

თუ გინდათ წარმოიდგინოთ, რამდენად ხელ-გაშლითა და გარდამეტებულის სიმდიდრით სცხოვრობს ევროპიელი, იმათი ცხოვრება მაჰმადიანთა ზნეობის საწყაოთი უნდა ასწონო მაგალითებრ, ჩვენებურად ჩაცმა იმასა ჰნიშნავს, რომ სხეული ბუნების მავნებელ მოქმედებისაგან დავიფაროთ. თუ ამ ტანისამოსის პირველს დანიშნულებას სისუფთავეც მიემატა, უმეტესი საჭირო აღარ არის. ევროპიელთა შორის-კი სულ სხვაა. ტანისამოსის აგ-კარგიანობა იმათში რაღაც ადამიანის გამკოტრებელ და ბუნების წინააღმდეგს კანონს ექვემდებარება, იმ კანონს, რომელსაც ისინი მოდას ეძახიან. ევროპიელი იმ მიზეზით-კი არ იცვლის ტანისამოსს, რომ გაცვდა, არამედ იმითი, რომ მოდა გამოიცვალა. ეს გარემოება ჰღუპავს და ათახსირებს არამც თუ მარტო ღარიბებს, არამედ ქონებრივად შუა ხარისხის წოდებასაც. ყველანი უჩივიან მოდას და ძალიანაც უჩივიან, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მაინც კიდევ კისერს იხრიან იმის ძლიერების წინაშე.

ტანისამოსი ჩვენ მხოლოდ მაგალითად დავასახელეთ. ცხოვრების ყოველსავე მოთხოვნილებასაც ასეთი გარდამეტებული ხარჯი მოსდევს. მაგალითებრ, სადგომი ხომ სრულიად რიგიანად ჩაითვლება, თუ ისე მოწყობილ-მოკაზმულია, რომ შიგ ცხოვრება და უავდრობისას თავის შეფარება შეიძლება. ევროპიელები-კი ისე მოიწყობენ ხოლმე ამ სადგომებს, რომ მაღაზიებს უფრო ჰგავს იმათი სადგომი, ვიდრე ადამიანის სამყოფელს. იმდენს ფულსა ჰხარჯავს ევროპიელი საჭმლისა, სასმელისა, თავის გართობისა, ნათლობისა, ქორწინებისა და მიცვალებულის დასაფლავებისათვის, რომ ღარიბიდგან მოკიდებული შეძლებულამდე თავისის ბედის მადრიელი არავინ არის და არც უნდა იყოს. ადამიანი იმდენს საშუალებას კიდევ იშოვნის, რომ ჭეშმარიტი საჭიროება დაიკმაყოფილოს, მაგრამ იმდენს ხარჯს-კი რა დააკმაყოფილებს, რამდენსაც ევროპიელი ეწევა, რადგან სიმდიდრე და უზომოდ ცხოვრება სიამოვნებად გადაჰქცევია.

როცა ერის ცხოვრება ისეა მომართული, რომ შეძლებულთაც-კი უჭირთ და ისინიც-კი ხარჯს ვერ გასძლოლიან, წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში უნდა იყვნენ ღარიბნი და ხელმოკლენი.

ჩვენში ვაჭარი, რა შრომასაც უნდა ადგეს, იმდენს მოიგებს, რომ რიგიანად ჰკვებოს თავისი თავიცა და თავისი ცოლ-შვილიც. ევროპიელთა შორის-კი სულ მუშაობას რომ გადაჰყვეს მუშა-კაცი, თავისის თავის შენახვაც უჭირდება. ამიტომაც არის ისე, რომ იქ ქალებიც და ყმაწვილებიც შრომასა და ფულის მოგებას არიან იძულებულნი. ოჯახის ყველა წევრი ჰმუშაობს და მაინც კიდევ ნახევრად მშიერი აქვთ გული.

მთელს ქვეყნის პირზე იმდენი საქველ-მოქმედო დაწესებულებანი არსად არის, რამდენიც ევროპაშია. თუმცა ასეა, მაინც-კი უგონოდ ხარჯვა ფულისა ისე აშფოთებს ეკონომიურს მდგომარეობას, რომ ევროპაში სიმშილით სიკვდილის მაგალითიც ყოფილა. დიდ-ძალი ევროპიელი ყოველ წლივ ამერიკასა, ავსტრალიასა და სხვა მოშორებულს ადგილებში მიდის, რომ სიმშილით სიკვდილს აცილოს როგორმე.

ორის შუა რიცხვით იქ მუშაკაცი 1 მან. 50 კაპ. იღებს. ჩვენში ამ ფულით მთელი ოჯახი გაუჭირვებლად იცხოვრებს და იქ-კი ერთს ადამიანსაც ვერ შეუნახავს თავი. ცოლმაც კიდევ ცალკე უნდა იშრომოს. თუ ასეთს მშრომელს ცოლსა და ქმარს, ერთად მომუშავეთ, ყმაწვილი ჰყავთ, ორივენი ამ ერთს ყმაწვილს ვერ ინახავენ და იძულებულნი არიან საქველ-მოქმედო დაწესებულებაში გაზარდონ და იქ ასაზრდოებინონ. თუ სრულიად ღარიბნი არიან, ბავშვის შესანახს ვერას აძლევენ, თუ უფრო ნაკლებად ღარიბნი, ხარჯის მხოლოდ მცირეოდენს ნაწილს იხდიან, დანარჩენის მიმატებას ისევ დაწესებულებაა ვალდებული. რადა თქმა უნდა, როცა ცხოვრება ასეა მომართული, ქმარსა, ცოლსა და ყმაწვილს შორის არავითარი ზნეობრივი კავშირი აღარ არსებობს. განა ცოლი დასამუნაკათებელია რითიმე ქმრისაგან? ქმარი ხომ არ ინახავს რა, თუ დედამ პური აქვს, თავისის შრომითა აქვს. ყმაწვილი-კი ოჯახისა და მშობლების მზრუნველობის გარეშე სცხოვრობს და იზრდება. ოჯახის ასეთს წევრთ ერთმანეთთან საერთო რა აქვთ? ზნეობრივი კავშირი საიდგან იქნეს თავს, როცა ეკონომიურად ასე გაცალცალკევებულნი არიან?

ვიმეორებთ, უმთავრესი საფუძველი იმ საზოგადოებრივის სიღარიბისა, რომელსაც ევროპიელები სოციალურს მდგომარეობას ეძახიან, სიმდიდრეა, გადაჭარბებული ცხოვრებაა. რა საშინელი წყლულია ეს გადაჭარბებული ცხოვრება, ამას ზოგიერთს ჩვენს სახლობაზედ შევნიშნავთ, იმ სახლობაზედ, რომელთაც კარგად ცხოვრება უყვართ და ჯიბეში ცქერა-კი არ უნდათ. ჩვენშიაც გაჩნდა ეხლა ისეთი ოჯახობანი, რომელთაც მდიდრებს მიჰბაძეს, ვალებში ჩასცვივდნენ და საუკუნოდ გამოეთხოვნენ მშვიდსა და დინჯს ცხოვრებას. თავის შეძლების კვალობაზედ რომ ეცხოვრნათ, არა გაუჭირდებოდათ-რა. ჩვენში კოტრობასა და იმით გამოწვეულს მწუხარებას, გადაჭარბებულის ცხოვრებით შედეგს, უფრო ხშირად აქაურ ქრისტიანთა შორის შეჰხვდებით—ბერძნებსა და სომხებს შორის, რომელნიც ევროპიელთა გამხრწნელს ცხოვრებას მისდევენ.

რადგან ამ თავ-დაუჭერელსა და გადაჭარბებულს ცხოვრებას, მშვიდობიანობისა და სიკეთის მაგიერ, მხოლოდ მწუხარება და სინანული მოსდევს, იმედია, ჩვენი თანამემამულენი გონებაზედ მოვლენ და ამ ევროპიელთა მიბაძვის მაიმუნობას თავს დაანებებენ. რაც შეეხება ევროპას, იქ ღვარძლის ძირიანად ამოგლეჯა შეუძლებელად-ღა მიგვაჩნია. როგორც ადრეც ვსთქვით ერთს ჩვენს წერილში, ჩვენ ვშიშობთ, რომ ამ სოციალურს წყლულს ევროპის საზოგადოებისას სრული გასრწნილება არ მოჰყვეს.

ასეთის აზრის მქონე კაცს, რადა თქმა უნდა, გრაფ ლევ ტოლსტოის ნაწერები ძალიან უნდა მოსწონებოდა, განსაკუთრებით-კი „კრეიცერის სონატა", და მართლა ასეც მომხდარა. თავისის გაზეთის მეორე ნომერში მითხად-ეფენდი კვლავ შეეხება ზემოდ მოხსენებულს საგანს, შემდეგ რუსეთის ამ მწერალსაც იხსენიებს და აი რას ამბობს:

იმის წინააღმდეგ არა ითქმის-რა, რომ ევროპის ცივილიზაცია თანდათან წინ მიდის. ისე საუცხოოდ არის მოწყობილი ევროპაში ხომალდები, რკინის გზა, სამხედრო იარაღი, ათას გვარი მანქანა და ქაღალდის გამგეობის საქმე, რომ იმის მეტი აღარა დაგვრჩენია-რა, ჩვენც იმათ უნდა მივბაძოთ, და ამ მხრივ იმათი გამოცდილება სასიკეთოდ გამოვიყენოთ. რაც შეეხება ევროპის ზნეობრივს მდგომარეობას, მესაც ვიმეორებთ, ზნეობა ისეთის სისწრაფითა და ჩქარის ნაბიჯით უახლოვდება გახრწნილების უფსკრულს, რომ ოჯახი, დღეობით-კი არა, საათობით ირღვევა და თახსირდება. ჩქარა დადგება ევროპაში ისეთი დრო, რომ არც მამა იყოს, არც დედა, არც შვილი, და ყველანი ერთ გვარად სცხოვრობდნენ ტყის ნადირებსავით.

ამ ჟამად მე რუსეთის გამოჩენილ მწერლის გრაფ ლევ ტოლსტოის თხზულებას ვკითხულობ და დიდად მიხარიან, რომ ისიც ისეთის აზრისა ყოფილა ევროპის სოციალურ ცხოვრების შესახებ, როგორისაც მე ვარ. გრაფ ტოლსტოის ძალიან მოსწონს, რომ ევროპიულად რუსეთშიაც შემოუღიათ მანქანები, ხელოვნება და სხვ. და სხვ. მაგრამ ამასთან იმასაც ამბობს, რომ რუსეთის თავად-აზნაურობამ ევროპიელთა ზნე-ჩვეულებას არ უნდა მიჰბაძოსო. ამ თხზულებებს ამ მწერლისას ჩქარა გადმოვთარგმნით ჩვენს ენაზედ ჩვენთა მკითხველთა სასიამოვნოდ. თავის ნაწერებში გრაფი დიდის საქმის ცოდნითა და უმაგალითო გამბედაობით ჰლაპარაკობს იმ ზნეობის შესახებ, რომელსაც ყოველმა ერმა, თუ არსებობა უნდა, მთავარი ადგილი უნდა დაუთმოს და რომელზედაც უნდა დაამყაროს თავისი ეროვნული კეთილდღეობა. მე მგონია, რომ ეხლა, როცა ათას გვარი ცივილიზაცია ისე აირ-დაირია და გადაიხლანჯა-გადმოიხლანჯა, ტოლსტოის აზრების გაცნობით გამოარკვევენ ოსმალნი იმ გზას, რომლისკენაც უნდა წარმართონ ჩვენი ეროვნული ცხოვრება, თუ თავისს კეთილდღეობას არიან მოწადინებულნი და არა ჰსურსთ ჭეშმარიტს ზნეობას გადასცდნენ.

ასე სწერს, ასე ჰლაპარაკობს, ასე სჯის ოსმალეთის მწერალი მითხად-ეფენდი. ბევრში იქნება აზვიადებდეს კიდეც საგანს, მაგრამ ამასთან ბევრს სიმართლესაც ჰლაპარაკობს და ზოგიერთს ჭეშმარიტს წყლულს აწინდელ ევროპის ცხოვრებისას სამართლიანის გულის წყრომით აღნიშნავს...

## წერილი რედაქციის მიმართ

დიდის მოუთმენლობით მოველოდი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წრევანდელ კრებათა ანგარიშის დასრულებას თქვენს გაზეთში. მოველოდი იმიტომ, რომ მწადდა სიმართლე აღმედგინა და შემესწორებინა ზოგიერთი შეცდომები, რომელიც მე შემეხებოდა. გუშინ დასრულდა ეს ანგარიში და რა მთლად თვალი გადავავლე, დავრწმუნდი რომ მართლაც შეცდომებით სავსეა. იქნება ბრძანოთ, თუ შეცდომებია, რატომ ამ შეცდომებს პირდაპირ არ უჩვენებსო? წინდაწინვე მოგახსენებთ, რომ თუ ფაქტების ჩვენებას და საზოგადოდ ბანკის მთელის დავიდარაბის გამორკვევას მოიწადინებთ, სრულის თქვენის ანგარიშის სივრცე პასუხი დამჭირდება. მე დიდის სიამოვნებით ვიკისრებ ამ შრომას შემდეგის პირობით:

1) შეუცვლელად დაბეჭდოთ, რაც გამოვგზავნო ბანკის საქმეებისა და იქ მომხდარ ბაასის შესახებ და 2) მომცეთ ნება პასუხის მიცემისა გაზეთითვე და თქვენის უკანასკნელის სიტყვით არ შესწყვიტოთ ბაასი, თუ საგანს სრულიად გამორკვეულად არ ჩავთვლი. *)

იმედი მაქვს, უარს არ მეტყვით ამ პირობებზედ და სრულის სიმართლის აღდგენის ნებას მომცემთ.

დავშთები თქვენი უმორჩილესი
თ. ივ. გ. მაჩაბელი

*) რაც შეეხება ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ ანგარიშის შეცდომათა შესწორებას, თავ. მაჩაბელს სრული ნება აქვს შეასწოროს და ჩვენც დავბეჭდავთ შეუცვლელად. ხოლო თუ ჰსურს „საზოგადოდ ბანკის მთელის დავიდარაბის გამორკვევა"—ეს სულ სხვა საგანია და ამაზე ცალკე წერილი გვიბოძოს და ჩვენც დავუბეჭდავთ შეუცვლელადვე იმ პირობითა-კი, რომ ჩვენც, თუ საჭიროდ დავინახავთ, პასუხს გავცემთ და ამ საგანზე ბაასი ამით გათავდება. თორემ უკანასკნელი სიტყვა მე მომეცითო, თუ ვინიცობაა საბაასო „საგანს სრულიად გამორკვეულად არ ჩავთვლიო"—ეს მეტის მეტი და ყოვლად შეუწყნარებელი პირობაა.

გაზეთში მოქცეული საბაასო საგანი გამორკვეულია, თუ არა—ეს რედაქტორის საქმეა. ამაზე „ჰოსა და არას" თქმა რედაქტორის ხელ-შეუხებელი უფლებაა და ნურას უკაცრავად, რომ ამ უფლებას მე, ვითარცა რედაქტორი, არ ჩამოვირთმევ არავის თხოვნითა. ვერა რედაქტორი ვერ მისცემს ნებას გარეშე კაცს, მაშინ შესწყვიტე ბაასი, როცა შენ დაინახავ საგანს გამორკვეულადაო. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ბაასის ამტეხის ხელთ იქნება თუნდ მთელი წლიწადი მთელი გაზეთი თავისს ბაასს მოანდომოს, აქაო და ჯერ „საგანს გამორკვეულად არა ვთვლიო". განა ეს შესაწყნარებელია?

რედაქტორი

# დეპეშა

3 ივნისი

**პეტერბურგი.** „Нов. Вр." იუწყება, ამ დღეებში გაათავა თავისი სამზადისი სამუშაო სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში მეურნეობის დასახმარებელ სესხის დასაარსებლად შემდგარმა კომისიამა. კრებები მოხდებოდა ხოლმე სახელმწიფო ქონებათა მინისტრის თავმჯდომარეობით. როდესაც შეკრებილს ცნობა—მასალას რიგზე მოიყვანენ, მაშინ პროექტი შემუშავდება მეურნეობის დასახმარებელ სესხისა, თანახმად კომისიის დადგენილებათა, ხოლო შემოდგომაზე დაიწყება ბჭობანი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ წარმომადგენელნი: ერობათა, სამეურნეო საზოგადოებათა და მეურნე-პრაქტიკები, რომელთაც ამ საგნისათვის პეტერბურგში მიიწვევენ.

**ბათუმი.** წარსულს ღამეს ნუშა (პატარა ნავი) ხუთისს ჯარის კაცით ქალაქში მიდიოდა სანოვაგის მოსატანად. ზღვაზედ შეჰხვდა სხვა ნავს და უბრძანა, აფრები ჩამოუშვიო. როდესაც გაუპირდაპირდნენ ერთმანეთს, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ნავიდგან ერთბაშად თოფები ესროლეს ჯარის კაცებს, 4 მოჰკლეს და 1-ც დასჭრეს. სადგურიდგან ხელმეორედ მეორე ნავი გაგზავნეს 4-ს ჯარის კაცით. როცა მიახლოვდნენ, ამათაც თოფები მოუშვირეს და რამდენიმე დასჭრეს. ნაპირიდგან კიდევ გაგზავნეს ნავი, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებლების ნავი ზღვაზე დაიმალა. მოკლული ჯარის კაცი 6-ა, 2-მძიმედ დაჭრილი და ერთიც გაკაწრული. ყველა ესენი ბათუმში მოიყვანეს, ხოლო ავაზაკებს მდევრად გამოუყენეს ჯავშნიანი ნავი „Кубанецъ"-ი. ავაზაკების მიერ თავს დასხმა ბათუმიდგან 10 ვერსის მანძილზე მოხდა ზღვაზე, მაკრიალის მახლობლად. ავაზაკები 12 ორთაყვირიანს ნავში ისხდნენ და ისე დაიმალნენ ზღვაზე.

**ბერლინი.** მაზელიდგან დეპეშით იუწყებიან სიმპლონის რკინის გზაზე გუშინ საღამოს მომხდარს უბედურებას: მენხენშტეინის მახლობლად ხიდი ჩაინგრა; მატარებელი ლიანდაგიდგან გადმოვარდა, ორი ორთქლმავალი, ორი ვაგონი ხალხით სავსე, ერთი ვაგონი საფოსტო და ერთი ვაგონიც ხაფაკისა კალაპოტიდგან გადმოსულს მდინარე ბირსში ჩაცვივდა. ჯერ-ჯერობით 44 საშინლად დამახინჯებული კაცის გვამი გამოათრიეს, დაჭრილი 100-ზე მეტია. საერთოდ, როგორც ამბობენ, სულ 120 კაცამდე მომკვდარა. ამათგან ზოგი გაჭყლეტილია და ზოგიც დამრჩვალი.

**პარიჟი.** დღეს მოვიდა აქ გამგე ზღვის სამინისტროსი, ვიცე-ადმირალი ჩიხაჩევი. აქედგან გავრში გაემგზავრება ზარბაზნების საცდელს სროლაზე დასასწრებად.

კონსტანტინოპოლიდგან იუწყებიან გუშინდელის დღის თარიღით, რომ რიცხვით ყველაზე უმეტესი და ძლიერ მეამბოხე თემი იემენისა—ასირნი შეიხ-სეიფ-ედდინის მეთაურობით აეშალა მთავრობასაო. წესიერების აღსადგენად გაგზავნილი რაზმი ჯარისა საშინლად დამარცხებულ იქმნა

და 100 კაცზე მეტი მოაკლდა დაჭრილი თუ მოკლული და მათ შორის მრავალი აფიცრიცაო. იემენის გუბერნატორი აუწყებს რა ამას კონსტანტინოპოლში, თან დასძენს, რომ ასსირთ მსწრაფლ-მსროლი თოფები და ინგლისური ზარბაზნებიცა აქვთო. გუბერნატორი ითხოვს, დაუყოვნებლივ მომაშველეთ ჯარიო. გუშინ საგანგებოდ მომხდარმა სხდომამ მინისტრთა საბჭოსამ გარდასწყვიტა, გაგზავნოს 2000 კაცი სირიის ჯარიდგან.

რიოჯანეიროდამ იუწყებიან, რომ ადგილობრივ მიზეზთა გამო პარაბელემის შტატის უმთავრესს ქალაქში არეულობა მოხდა, რომელიც შემდეგ უკვე მოსპობილ იქმნაო.

4 ივნისს

**პეტერბურგი.** საგანგებო საბჭომ გაათავა მუშაობა ევროპის საქმეზე და, დაამტკიცებს თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრი, სახელმწიფო საბჭოშიც წარადგენენ. საბჭოში თავმჯდომარეობდა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი პლეკე; მუშაობაში მონაწილეობდნენ ვარშავისა, კიევისა და ვილნოს გენერალ-გუბერნატორები, დირექტორი პოლიციის დეპარტამენტისა, გუბერნატორი მინსკისა და სხვანი.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატამ შეიწყნარა პურის გარდასახადი—5 ფრანკი და ფქვილისა 8 ფრანკი, პალატამ შეიწყნარა აგრეთვე წარდგენილი გარდასახადი შავის პურისა, შვრიისა და სიმინდისა, ხოლო გამომცხვარ პურის გარდასახადი უარ-ჰყო.

**ბაზელი.** უბედურება შეემთხვა იმ მატარებელს, 2 საათსა და 15 წუთზე ბაზელიდგან ელსბერგს გაემგზავრა. დაიმსხვრა ორი სახალხო ვაგონი, ხოლო მესამე ვაგონი ხიდის ყურსა და მატარებლის ნამსხვრევებს შუა გაიჭედა. მომეტებული ნაწილი დაშავებულთა ბაზელის მცხოვრებელია. მოკლულთა რიცხვს ვარაუდობენ 80—100 კაცამდე. დაჭრილი 100-ზე მეტია.

**ბერლინი.** საიმპერიო მაუწყებელი ამბობს, ყოველგან უფრო კირგის მოსავლის იმედი მიეცათო.

---

**სტამბოლი.** სახელოვანი სომეხთა არტისტი ადამიანი გარდაიცვალა.

პეტერბურგის ბირჟა, 31 მაისი.

| | მყიდველისა. მან. | კ. | გამყიდველისა. მან. | კ. | გაყიდულისა. მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | ,, | — | ,, | 6 | 77 |
| ტამოჟნის კუპონები . | 135 | 62 | — | ,, | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 | 03 | — | ,, | — | ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | ,, | — | ,, | 245 | |
| —მეორისა . . . . | — | ,, | — | ,, | 222¾ | |
| —მესამისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 212 | | — | ,, | 210½ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მაასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლიისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოკა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხვის გამავრცელებელს წიგნთსაცავსა და ქართველთა წიგნთ გამომცემელთ მაღაზიაში

**მეფე დავით აღმაშენებელი**

ისტორიული დრამა, ოთხს მოქ. თხზულება.

თ. ალ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა

გამოცემა

ზ. ჭიჭინაძისა

ფასი ორი აბაზი.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. . . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის-მეტყველებას და ზნეობას ყდით. | „ | 50 |
| წამება, ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატისა, ყდით . . . | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცთა. . . . | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე, საბინინისა, ოც-და-შვიდი სურათით. . . . . | 10 | „ |
| Книга Калилаh и Диманаh или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна . . | „ | 3 |

---

საგალანტერიო მაღაზია

**ჰ. ი. ბროდსკისა**

**გადავიდა** შუა-ბაზარში, კათოლიკეთა ქუჩის კუთხეზედ, სადაც წინად მერაბოვის ლამპის მაღაზია იყო.

(20—72—6)



ტფილ. გამოფენა.

ვარცხლისა

ოქროსი

# აღალო თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ,

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სტანციების ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყოველნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში, ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისთვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცი პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ).

ჩემი ადრესი: въ Тифлисъ заводъ масляныхъ красокъ на кузнецкой улицѣ (ярмарка) или собственномъ домѣ Абасабадская площадь Агало А. Тутаеву. (15—75—1)

---

# ხევდურეთის სამკურნალო წყლებზედ

ქარელის სტანციის მახლობლად გაიმართა ახალი სადგომები საბანაოუზებით. ბინა ფართოა, კეთილ-ჰაეროვანი, თვალთ-საამური მისახედ-მოსახედი; სატკბილბაასო მეზობლები. მიმოსვლა დროგით. ყოველი სასაზრდო ხორაგი საკვირველის იაფობისა. დაწვრილებითი ცნობები შეიძლება შეიტყოთ: **ქარელში**, თავ. კონსტანტინე ნოდარის ძე ციციანოვთან.

(3—74—?)


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით . . . | 10 მ.—კ. | 6 | თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 | ,, . . . | 5 ,, 25,, |
| 10 | ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 | ,, . . . | 4 ,, 70,, |
| 9 | ,, . . . | 8 ,, —,, | 3 | ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 | ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 | ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 | ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 | ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია‘‘ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,Иверiя‘‘.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

---

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

---

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 4-го Іюня 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**